ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ოქმი №2

ქალაქი ფოთი 13 ოქტომბერი 2023 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა:

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე მაია დოლბაია

ესწრებოდნენ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები:

მაია დოლბაია, ნანა ვეკუა, ნანა საბულუა, თამარ თოფურია, მალხაზ ფოჩხუა; ლელა ჩიჩუა, თეონა ახალაია, ეკატერინე ფაჩულია, გვანცა გვაძაბია; მანანა ქოიავა, ქეთევან ლორია, შორენა წაბრია, ნონა სილაგავა; ეკატერინე ტუღუში, სოფო როდონაია, ნონა ხუხია, მაია მაკალათია, ხათუნა შამატავა, ინგა გვასალია.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წლის მეორე სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხა:

1. კიბერბულინგი: შანტაჟი და ჩაგვრა ციფრული ტექნოლოგიებით
   /მომხსენებელი: ბესიკ მაშავა- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტი ინფრასტრუქტურის საკითხებში /

2. „სიცოცხლისთვის ბრძოლაში!“
   /მომხსენებელი: ქეთი ბოჭორიშვილი - არასამთავრობო ორგანიზაცია ვიტაე- სიცოცხლისათვის დამფუძნებელი, ყოფილი ონკოპაციენტი/

3. ადამიანის პაპილომავირუსი HPV ინფექცია. სიმპტომები, რისკ- ფაქტორები. HPV -ის გართულებები. მკურნალობა,პრევენცია. პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა საქართველოში.
   /მომხსენებელი: სოფიო თათარიშვილი - ქალაქ ფოთის “სამშობიარო სახლი ბომონდი-ს” მეან - გინეკოლოგი/

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ მაია დოლბაიამ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

როგორც საბჭოს თავმჯდომარემ მაია დოლბაიამ აღნიშნა, გენდერული თანასწორობის საბჭო უერთდება „ვარდისფერი ოქტომბრის“ ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო კამპანიას, რომლის მიზანია სიმპტომების ნაადრევი აღმოჩენის, თვითშემოწმებისა და სასკრინინგო კვლევების შესახებ საზოგადოების ინფორმირება.

სხდომაზე არასამთავრობო ორგანიზაცია „ვიტაე-სიცოცხლისათვის" დამფუძნებელმა, ყოფილმა ონკოპაციენტმა ქეთი ბოჭორიშვილმა დამსწრე საზოგადოებას თავისი გამოცდილება გაუზიარა.

ქალაქ ფოთის "სამშობიარო სახლი ბომონდი-ს" მეან – გინეკოლოგ სოფიო თათარიშვილთან ერთად იმსჯელეს ადამიანის პაპილომავირუსი HPV ინფექციაზე, სიმპტომებსა და რისკ- ფაქტორებზე. ასევე HPV -ის გართულებებზე, მკურნალობასა და პრევენციაზე. პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაზე.

დღის წესრიგის თანახმად, მოისმინეს პრეზენტაცია ისეთ მნიშვნელოვან თემაზე, როგორიცაა კიბერბულინგი: შანტაჟი და ჩაგვრა ციფრული ტექნოლოგიებით, რომელიც საკრებულოს აპარატის თანამშრომელმა, ფილოსოფოსმა ბესიკ მაშავამ წარმოადგინა.

შეხვედრის მონაწილეებმა მოსახლეობასთან მჭიდრო კომუნიკაციისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მათი ცნობიერების ამაღლების კუთხით განსახორციელებელ ღონისძიებებზეც იმსჯელეს და უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნით საკუთარი წინადადებები წარმოადგინეს.

სხდომას, რომელიც საკრებულოს ნიკო ნიკოლაძის სხდომათა დარბაზში გაიმართა, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები, საჯარო მოხელეები, ახალგაზრდული საბჭოს წარმომადგენლები და დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი
მოადგილე, გენდერული თანასწორობის
საბჭოს თავმჯდომარე
მაია დოლბაია

გენდერული საბჭოს მდივანი
ეკატერინე ფაჩულია